საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2608/01
10/03/2020

2608-01-2-202003101552

საავტომობილო გზების დეპარტამენტს

მის: საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის №12

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 21 იანვრის N 2-12/657 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახმეტის მუნიციპალიტეტში, ალავერდის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ, მდ. ხოდაშენის ხევზე ნაპირსამაგრ სამუშაოებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში ერთ-ერთი საპროექტო გაბიონი (რომლის სიგრძე შეადგენს 1000 მეტრს) კვეთს პირუტყვის გადასარეკ ტრასას სარეგისტრაციო კოდით: 50.12.38.004. აღნიშნულიდან გამომდინარე სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ნაპირსამაგრი გაბიონის მშენებლობით კვლავ შესაძლებელი იქნება თუ არა პირუტყვის გადასარეკი ტრასის ფუნქციონირება და დაგეგმილი ნაგებობა შეუშლის თუ არა ხელს პირუტყვის გადაადგილებას.

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ სამინისტროში წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში საქმიანობის სახელწოდებად მითითებულია ახმეტის მუნიციპალიტეტში, ალავერდის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ, მდ. ხოდაშენის ხევზე ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტი, თუმცა საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ალავერდის სამონასტრო კომპლექსი, აღნიშნული საპროექტო უბნიდან დაცილებულია დაახლოებით სამი კილომეტრით, შესაბამისად საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით

ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე